

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ლუკა ღვინიაშვილის ისტორია

საქართველოსა და საფრანგეთის მოქალაქე ლუკა ღვინიაშვილი, პროფესიით ფოტოგრაფია. მას ბრალად ედება წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციელის შეურაცხყოფა. ლუკა საპოლიციო ძალებმა ორჯერ დააკავეს. პირველად, მისი დაკავება 30 აპრილს მოხდა, როდესაც ე.წ "რუსული კანონის" წინააღმდეგ გამართულ აქციაზე ის ერთ მწკრივად განლაგებულ სპეცრაზმელებს ფოტოებს უღებდა რუსთაველის გამზირზე, რამაც გამოიწვია უწყების თანამშრომლების გაღიზიანება და ძალის გამოყენებით ლუკას დაკავება. ის დააგდეს ასფალტზე და ძალოვანი უწყების თანამშრომლები ურტყამდნენ ძირითადად სახეში. ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ლუკას აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც. პოლიციის თანამშრომლებმა ლუკაზე ძალადობა შეწყვიტეს მას შემდეგ, რაც ჟურნალისტები კამერებით მივიდნენ ადგილზე. ამის შემდეგ, ლუკა შეიყვანეს სპეცრაზმის კორდონში და სანამ პოლიციის მანქანასთან მიიყვანდნენ, დაახლოებით 100 მეტრი გაატარეს ფიზიკური და სიტყვიერი ძალის გამოყენებით. ძალოვანი უწყების თანამშრომლები ლუკას აიძულებდნენ, თავად ერტყა თავში ხელები და საკუთარი თავისთვის მიეყენებინა როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი შეურაცხყოფა. პოლიციის მანქანასთან მიყვანის შემდეგ, ლუკა გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, საიდანაც გაათავისუფლეს 48 საათიანი ვადის გასვლის შემდეგ.

რაც შეეხება ლუკა ღვინიაშვილის მეორე დაკავებას, ის 12 დეკემბერს განხორციელდა. მანამდე, მას დასდევდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები. 12 დეკემბერს, ლუკა იმყოფებოდა მეგობართან. წამოსვლისას, იგი ჯდებოდა საკუთარ ავტომობილში, რა დროსაც მისი მიმართულებით დაიძრნენ არასაპოლიციო ავტომობილიდან გადმოსული სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები და გაჩერება მოსთხოვეს. აღნიშნულ პირებს ლუკასთვის არ განუმარტავთ, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. ლუკამ აღნიშნულზე ივარაუდა, რომ უცნობ პირებს უნდოდათ მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება და გაიქცა მოშორებით მდგარი პოლიციის მანქანისკენ.

ლუკა მივიდა საპატრულო პოლიციის მანქანასთან და თანამშრომლებს სთხოვდა დახმარებას. ამ დროს მასთან მივიდნენ ზემოაღნიშნული პირები და განუმარტეს, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და ფიზიკური ძალის გამოყენებით დააკავეს. დაკავებისას პოლიციის თანამშრომელმა ლუკას ანახა იარაღი და უთხრა, რომ თუ წყნარად არ იქნებოდა, ეს იარაღი "მისი" აღმოჩნდებოდა.

როგორც 30 აპრილს, ისე 12 დეკემბერს, ლუკას დაკავების მიზეზი იყო მისი ჟურნალისტური საქმიანობა, რადგან ლუკა არის ფოტოგრაფი და ის თანამშრომლობს სხვადასხვა მედიასაშუალებებთან. ამ ეტაპზე, მას კონტრაქტი გაფორმებული აქვს ერთ-ერთ უცხოურ მედიასთან და იღებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. სწორედ ამიტომ მოხდა ლუკას მიმართ თვალთვალი და ადევნება.

30 აპრილს, ლუკას თავის, სახისა და სხეულის არეში აღენიშნებოდა დაზიანებები. მას მიღებული ჰქონდა ტვინის შერყევა. დაზარალებულს სამედიცინო დახმარება გაეწია მხოლოდ დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი სამედიცინო პერსონალისგან. ლუკამ მხოლოდ იზოლატორის დატოვების შემდეგ შეძლო სრულყოფილი სამედიცინო დახმარების კლინიკაში.

30 აპრილის დაკავების ფაქტზე, ლუკას ბრალად ედებოდა სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. მისი საქმე განიხილა მოსამართლე კობა ჩაგუნავავ. ლუკას საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო ლუკას რეალური დამკავებელი. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე ლუკა ღვინიაშვილი სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის სახით შეუფარდა 2,300₾-იანი ჯარიმა.

12 დეკემბრის დაკავების ფაქტზე, ლუკას ბრალად ედებოდა სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. მისი საქმე განიხილა მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ. ლუკას საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა აპრილის სასამართლო პროცესის მსგავსად, არცერთი მათგანი არ იყო ლუკას რეალური დამკავებელი. მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე ლუკა ღვიიაშვილი სამართალდამრღვევად სცნო და სახდელის სახით შეუფარდა შვიდდღიანი პატიმრობა.

30 აპრილის ფაქტზე, არსებული ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული). ლუკა გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. არსებული ინფორმაციის მიხედვით, პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად (სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული).

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ლუკას მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკას შეუძლია იმ ორი უნიღბო პოლიციელის ამოცნობა, რომლებმაც მის მიმართ დანაშაული ჩაიდინეს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დღემდე არ მომხდარა არცერთი პოლიციელის იდენტიფიცირება/ამოცნობა და დაკავება (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება).

30 აპრილის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე. ლუკა გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. არსებული ინფორმაციით, პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად.
სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ლუკას მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკას შეუძლია იმ ორი უნიღბო პოლიციელის ამოცნობა, რომლებმაც მის მიმართ დანაშაული ჩაიდინეს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დღემდე არ მომხდარა არცერთი პოლიციელის იდენტიფიცირება და დაკავება.